ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6467278

ნომერი: AR1877784

თარიღი : 18.05.2023

გაცემის თარიღი : 18.05.2023

გაცნობის თარიღი : 19.05.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, თეიმურაზ ბოჭორიშვილის ქუჩა, N 18;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან პაპაშვილი პ/ნ 01004001829
- თბილისი ბარისახოს ქ. N 12

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 11 თებერვლის №5800488 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 18 მაისს №AR1877784 განცხადებით მომართა ლევან პაპაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2022 წლის 11

თებერვლის №5800488 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება მშენებლობის ვადის მითითების ნაწილში.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 11 თებერვლის №5800488 ბრძანებით, №01.11.12.019.807 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2022 წლის 11 თებერვლის №5800488 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2022 წლის 11 თებერვლიდან 2024 წლის 1 მაისის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2022 წლის 11 თებერვლის №5800488 ბრძანებაში შეცდომით იქნა დაფიქსირებული მშენებლობის ვადა, კერძოდ „2022 წლის 11 თებერვლიდან 2024 წლის 1 მაისის ჩათვლით“ ნაცვლად დაფიქსირდა „2022 წლის 11 თებერვლიდან 2023 წლის 11 მაისის ჩათვლით".
სამსახურის მიერ დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგენილ იქნა, რომ 2022 წლის 4 თებერვლის №AR1876270 განცხადებით მოთხოვნილ იქნა სამსახურის 2022 წლის 4 თებერვლის №5786503 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის ცვლილება (კორექტირება) და მშენებლობის ნებართვის გაცემა. რასთან დაკავშირებითაც, წარმოდგენილ იქნა შესაბამისი საპროექტო/სანებართვო დოკუმენტაცია, მათ შორის მშენებლობის განხორციელების კალენდარული გრაფიკი, სადაც მონიშნულია უკვე განხორციელებული სამშენებლო სამუშაოები (3 თვე და 10 დღე), ხოლო დარჩენილი სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლივობა არის 26 თვე და 20 დღე. აქედან გამომდინარე, სამსახურის 2022 წლის 11 თებერვლის №5800488 ბრძანებით მშენებლობის ვადა უნდა განსაზღვრულიყო 2022 წლის 11 თებერვლიდან 2024 წლის 1 მაისის ჩათვლით. თუმცა, ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის შედეგად მშენებლობის ვადა არასწორად დაფიქსირდა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 11 თებერვლის №5800488 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებასთან დაკავშირებით.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 11 თებერვლის №5800488 ბრძანებაში და ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
“3. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2022 წლის 11 თებერვლიდან 2024 წლის 1 მაისის ჩათვლით.“.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 11 თებერვლის №5800488 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის 2022 წლის 11 თებერვლის №5800488 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.